განკარგულება:**g-81. 81253635**
თარიღი:**29/12/2025**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №79

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით ქალაქ ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობის წყლის საფასურის გადასახადისაგან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის ქალაქ ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობა 2015 წლიდან დაბალ გადახდის უნარიანობის გამო გათავისუფლებულია ყოველ გამრიცხველიანებულ აბონენტზე 10 კუბური მეტრი წყლის საფასურის გადახდისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის მერია, ითვალისწინებს არსებულ გარემოებას და საკრებულოს წინაშე შემოდის წინადადებით ქალაქ ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობის ყოველ გამრიცხველიანებულ აბონენტზე ყოველთვიურად 10 კუბური მეტრი წყლის საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მიღებული იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის წინადადება ქალაქ ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობის წყლის საფასურის გადასახადისაგან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ.

მუხლი 2. წყლის საფასურის გადახდა მოხდეს ყოველ ერთ აბონენტზე გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ცაგერის სერვის ცენტრის მიერ წარმოდგენილი აბონენტთა სიის მიხედვით, ყოველ გამრიცხველიანებულ აბონენტზე 10 კუბური მეტრი წყლის საფასურის გათვალისწინებით.

მუხლი 3. ეთხოვოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ცაგერის სერვის ცენტრს, აბონენტებზე გაცემული წყლის ქვითრებში ასახოს მთლიანად გადასახდელი თანხის ოდენობა და ამ განკარგულებით დადგენილი სუბსიდიის ოდენობა და საბოლოოდ ცალკეული აბონენტების მიერ გადასახდელი თანხის რაოდენობა.

მუხლი 4. დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს გაერთიანებული წყალმომარაგების ცაგერის სერვის ცენტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მოახდინოს ანგარიშსწორება.

მუხლი 5. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

მუხლი 6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვასილ საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი